# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ორშაბათი, 15 დეკემბერი 1997 №162 (527) · ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ასე გააგრძელა...

## მურთაზ შელიამ თავისი დებიუტი მანჩესტერ სიტიში პირველი ინგლისური გოლით აღნიშნა



შელიამ ასეთ ან ამის მსგავს ნახტომში გაიტანა თავისი პირველი ინგლისური გოლი

სასწაულები იშვიათად ხდება. ამბობენ, ფორტუნაც მხოლოდ ძლიერებს სწყალობსო, მაგრამ „მანჩესტერ სიტისთვის" ამ ქვეყნად ყველა სიკეთე დაკარგულია. პრემიერლიგაში დაბრუნებას ვინ ჩივის, კიდევ უფრო ჩაქვეითება ემუქრება. ჩვენთვის გულსაკლავი ის გახლავთ, რომ ქართველები ცუდად შემორჩნენ ამ გასაცოდავებულ გუნდს. ჯერ გიორგი ქინქლაძის ჯავრს ვერ ვინელებდით, რას ერჩის ფრენსის ლი, ფეხბურთელს რად გვიფუჭებსო, ახლა მას მურთაზ შელიაც მიემატა. მანჩესტერში ადრიანად ჩასულს, კარგა ხანს მოუწია ცდამ. ძირითადს ვინ ჩივის, სათადარიგოთა შორისაც არ იყო. მიზეზი ყველას აინტერესებდა — რა ძლიერი მცველები „სიტის" ჰყავს, მურთაზს რომ არ იყენებენო. ზოგი იმასაც ამბობდა, შელიას ტერფის ტრავმა აწუხებს და იძულებით ისვენებსო. თითქმის ერთკვირიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ შელიას მობილურ ტელეფონზე დავუკავშირდით და მაშინვე ყველაფერი გაირკვა. მურთაზი კარგ ხასიათზე გახლდათ. ან რატომ იქნებოდა მოწყენილი, როცა დაცვის გასაძლიერებლად ნაყიდმა მოთამაშემ პირველივე მატჩში გოლი შეაგდო. ისე, სიტყველ ქართველებს სადებიუტო მატჩში გოლის გატანა ლამის ტრადიციად ექცეთ. იგივე ხომ ყაველაშვილმაც შეძლო, როცა „მანჩესტერ იუნაიტედს" აწყენინა...

— 88-ე წუთი მიმდინარეობდა. მეტოქის კართან კუთხური გავითამაშეთ, რაც საჯარიმოში ჩაწოდებით და ჩემი თავურით დასრულდა. მცველებს ლამის გადავახტი და ანგარიში გავხსენი. თითქოს მოგებული გვქონდა, მაგრამ მსაჯმა ზედმეტი რვა წუთი გვათამაშა, ერთხელ მეკარე შეცდა, მეორედ — მცველი და წავაგეთ.

**— აქამდე რატომ არ თამაშობდი?**

— კლარკმა ასე გადაწყვიტა. მე ჯერ სასაუბრო ენა არ ვიცი და გიოსთვის უთქვამს, ინგლისში მცველები ერთ ხაზზე თამაშობენ, შელიას რომ არ გაუჭირდეს, ცოტა ხანს დააკვირდეს თამაშის სტილს, შეეჩვიოს, შეეგუოს და მატჩებს სრულ მზადყოფნაში შეხვდებაო. რა მეთქმოდა, მწვრთნელმა ასე განსაჯა და ჩემთვის უკეთესიც გამოვიდა.

**— გუნდში როგორ მიგიღეს?**

— საკმაოდ თბილად. ჩემთვის ერთადერთი პრობლემა ენის არცოდნა გახლავთ. დაცვის გაძლიერება და ნაკლები შეცდომის დაშვება მევალება. როგორ მოვახერხებ, ამას დრო გვიჩვენებს. ისე, დიდი ამბებიც არ ატეხილა, აქაოდა, შელია ჩამოვიდა და გვიშველაო. არც პრესკონფერენცია მოუწყვიათ და არც მუდმივნომრიანი მაისური გადმოუციათ საზეიმოდ. მეც ძალზე თავისუფლად ვიგრძენი თავი.

**— ინგლისში მცველები ერთ ხაზზე თამაშობენ. შენთვის ეს უჩვეულო იყო. არ გაგიჭირდა?**

— არც ისე, როგორც მეგონა. კარიერის უმეტესი ნაწილი თავდამსხმელებთან პერსონალურად ჭიდილში გავატარე. აქაც იგივე მევალება, მომხდური არ უნდა გამექცეს. ოღონდ ეგ არის, უფრო ფხიზლად ყოფნა მმართებს, უკან ხომ დამზღვევი არ მეგულება.

...შელიას გიოზეც ვკითხეთ, მაგრამ მურთაზმა, მე რა გითხრათ, აქ არის და თავად გეტყვით სათქმელსო. ყურმილი გიომ აიღო და სევდანარევი ხმით პირდაპირ გვითხრა...

— ვიცი, რაც გაინტერესებთ, მაგრამ სხვა კლუბში ჩემი გადასვლის თაობაზე ჯერ ახალი არაფერია. კიდევ ცოტა ხანი უნდა მოვიცადოთ. მერე მეშველება, აბა, რა იქნება.

**— ბოლო ორი მატჩი არ გითამაშია „სიტის" გაებუტე თუ სხვა რამ პრობლემები გქონდა?**

— კოჭი ვიღრძე და ტკივილებმა თამაშის საშუალება არ მომცა. სავარაუდოდ, ერთ კვირაში დავბრუნდები. ასე ამბობენ ექიმები. ალბათ, შაბათს აუცილებლად ვითამაშებ.

ისე, ქინქლაძე როდის გადავაო გავიძახით და მურთაზმა თუ ასე გააგრძელა, გიოზე ადრე „სიტის" ალბათ ის დატოვებს და პრემიერლიგაში გადაბარგდება.

**მამუკა ქვინტალიანი**

## მსოფლიოს ტრაგიკული ჩემპიონატი

ბერლინის მაქს შმელინგის სტადიონზე დასრულდა ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა დანიის ნაკრებმა. ოლიმპიურ ჩემპიონთა გუნდმა კვლავ დაამტკიცა თავისი უპირატესობა და ფინალში ნორვეგიას სძლია 33:20.

მესამე ადგილი ჩემპიონატის მასპინძლებმა, გერმანელებმა მოიპოვეს. მათ საამისოდ რუსეთი დაამარცხეს 27:25. სამწუხაროდ, პირველობას თან სდია ტრაგედიამ, რომლის გამოც ფინალის შემდეგ ზეიმი არ გამართულა. ის კი არა, ორგანიზატორებმა მხოლოდ ბოლო წამს გადაწყვიტეს ფინალური მატჩის ჩატარება. ფინალსა და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გუნდებს სამგლოვიარო სამკლაურები ერტყათ. მიზეზი: შაბათს დანიისა და რუსეთის გუნდების ნახევარფინალური თამაშის დროს (დანიამ გაიმარჯვა 32:22, მეორე ნახევარფინალში ნორვეგიამ გერმანიას 25:23 მოუგო), მავანმა გერმანელმა მაყურებელმა დანით მოკლა ორი დანიელი ქომაგი. ბერლინის პოლიცია ეძებს 48 წლის თანამემამულეს, რომლის დანამაც იმსხვერპლა 34 და 39 წლის სტუმრები. მსხვერპლთაგან ერთი მყისიერად გარდაიცვალა, მეორე კი უშედეგო სამედიცინო ჩარევის შემდეგ. ჩხუბის მიზეზი ჯერ დადგენილი არ გახლავთ, მაგრამ ცნობილია, რომ მისი სამივე მონაწილე მთვრალი იყო. ამის გამო გუშინ მაქს შმელინგზე საგანგებო რაზმები იცავდნენ წესრიგს. ბუნებრივია, ალკოჰოლიანი სასმელის დალევა ან გაყიდვა უსასტიკესად იყო აკრძალული.

### ფიფას კონფედერაციათა თასი




# ალაჯმა ზურგი აქცია

**საუდეთი 0:5 მექსიკა**

**საუდეთი: ალ დეიეა, ალ ჰაჯანი, ალ ხილაივი, სულიმანი, ალ საჰაფი, ალ ჰარბი, ალ მუვალიდი, ალ დოსარი, ოვაირანი (ალ ტემავი 66), ალ ჯაბერი, მეჰალელი**

**მექსიკა: სანჩესი, სუარესი, დავინა, პარდო, კარმონა, ვილა, ლარა (ლოპესი 57), ლუნა, ჩავესი (ერნანდესი 46), ბლანკო, პალენსია**

**0:1, 0:2 პალენსია (19, 62), 0:3 ბლანკო (70), 0:4 ლუნა (76), 0:5 ბლანკო (78)**

მასპინძლობაც ამას ჰქვია. ბრაზილიასთან 0:3, მექსიკასთან 0:5. თუ ასე გაგრძელდა, საუდის არაბეთი — ავსტრალიის შეხვედრის ანგარიშის გამოცნობაც არ უნდა გაჭირდეს.

რამ გამოიწვია მასპინძელთა სამარცხვინო წაგებები, ძნელი მისახვედრია. არადა, მათი ნაკრები ნამდვილად არაა ისეთი სუსტი, შინ ამგვარი ანგარიშებით აგებდეს... ბრაზილიელებთან 0:3 მარცხი კიდევ, ასე თუ ისე, გასაგებია. ბოლოს და ბოლოს მეტოქე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია და აბსოლუტურად ყველა ტურნირში გამარჯვების რეალური კანდიდატია, მაგრამ მექსიკელებთან, ჩამოყალიბების გზაზე მდგარ ნაკრებთან, ხუთი ბურთის სხვაობით მარცხი, უბრალოდ უპატიებელია.

მექსიკელები ამ ტურნირში როგორც თავისი ზონის, კონკაკაფის, ჩემპიონები, ისე მონაწილეობენ. თუმცა, წლევანდელი სეზონის ბოლოს მეზობელ ქვეყნებზე მათი უპირატესობა იმდენად შთამბეჭდავი აღარ იყო, როგორც ადრე. სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ნათამაშევმა ბოლო სამმა ფრემ შეიწირა მექსიკელთა წინა მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მექსიკელთა დღევანდელი გუნდი სწორედ მისი, ბორა მილუტინოვიჩის შექმნილი უფროა, ვიდრე ახალი თავკაცის — ლაპუენტესი.

ეს ამ შეხვედრაშიც გამოჩნდა. თუ ავსტრალიელებთან წაგებულ მატჩში მექსიკა უბრალოდ გუნდი არ იყო, ამჯერად მათ ძლიერად ითამაშეს და სწორედ გუნდურ თამაშში დაჯაბნეს მეტოქე.

რაც შეეხება გოლებს, ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო, მაგრამ სამი მათგანი მაინც აღსანიშნავია — პალენსიამ ნაკრებში პირველი გოლები გაიტანა, ლუნამ კი ნაკრებში ჩატარებულ მეორე შეხვედრაშივე შეაგდო.

# რა დრო გასულა

**ავსტრალია 0:0 ბრაზილია**

**ავსტრალია: ბოზნიჩი, ხორვატი, ლაზარიდისი, ივანოვიჩი, ტობინი, ვიდმარი, ზელიჩი, ფოსტერი, ვიდმარი (ტაპეი 60), ალოიზი (მორი 68), ვიდეუკა (ბინგლი 89)**

**ბრაზილია: დიდა, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, ზე მარია, კონსეისაო, ლეონარდო, სეზარ სამპაიო (დორივა 88), როვალდო (დენილსონი 63), ბებეტო, რონალდო**

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა შეხვედრა უგოლოდ დაასრულეს. ყოველ შემთხვევაში, წელს ასეთი რამ არ ყოფილა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა ყველა მატჩში გოლი გაიტანეს. 0:0 ფრე კი, ოკეანისგაღმელებმა ბოლოს 1996 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშეს

ამჯერად ასე არ მოხდა. ბრაზილიელებს მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ავსტრალიელებმა ძლიერად ითამაშეს, განსაკუთრებით კი დაცვამ.

ტერი ვენეიბლზი შესანიშნავი მწვრთნელია. მან ეს გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ინგლისელს თავისი ძლიერება სხვაგანაც გამოუვლენია, შედარებით ძლიერ გუნდებში, მაგრამ ერთია, როცა ვარსკვლავებით სავსე გუნდს გაამარჯვებინებ და მეორეა, როცა არაფრით გამორჩეულ ფეხბურთელთა ნაკრებს ისე გაწვრთნი, მსოფლიო ჩემპიონებს ტოლ-სწორზე რომ ეთამაშება.

გუშინ ავსტრალიამ დაამტკიცა, რომ მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრისა, მაინც ძლიერი გუნდია. ბოლოს და ბოლოს, ვენეიბლზის ხელმძღვანელობით გუნდს უკვე 15 მატჩია, არ წაუგია. ეს კი სახუმარო ამბავი სულაც არაა. რაც შეეხება ბრაზილიელებს, მათ აშკარად ეტყობოდათ, რომ ამდენი გამარჯვებებით გადაიღალნენ. ოდესღაც ხომ უნდა დასრულებულიყო მათი მოგებების სერია. ჰოდა, ეს ავსტრალიელებმა ითავეს.

შეხვედრა, ცხადია, ბრაზილიელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ რაიმე რეალური სახიფათო მომენტი შეხვედრის პირველ ნახევარში არ შექმნილა. ერთი ეგ იყო, 23-ე წუთზე ფლავიო კონსეისაოს დარტყმა მოხვდა ძელს. შემდეგ რონალდო დარჩა ბოზნიჩთან პირისპირ, მაგრამ ვერ ივარგა, ტაიმის მიწურულს კი ავსტრალიელთა შესანიშნავად მოთამაშე დაცვასაც გაუჩნდა ნაპრალები, მაგრამ ტერი ვენეიბლზის ბიჭებს შესვენებამ, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო.

მეორე ტაიმი პირველის ანალოგიური გამოდგა. თუმცა, ამჯერად ავსტრალიელებმაც შეუტიეს ერთი-ორჯერ ხეირიანად. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა უპირატესობა ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, მაგრამ რობერტო კარლოსის წყალობით მათ შეტევებს სიმწვავე შედარებით არ მოჰკლებია. ძლიერ ტექნიკური ბრაზილიელების შეჩერება ავსტრალიელებს უჭირდათ და ამიტომაც იყო, ბოზნიჩის კარში სამჯერ მეტად სახიფათო ჯარიმა რომ დაინიშნა, სამჯერვე რობერტო კარლოსმა დაარტყა. მისი საშინელი ძალით გასროლილი ბურთები მცირედით ასცდა მეტოქის კარს. შეხვედრის მიწურულს ერთ მეტად საეჭვო სიტუაციაში მსაჯმა პენალტის დადება არ გარისკა — ბებეტო ლაზარიდისმა ზედ პენალტის ნიშნულთან დასცა.

ასეა თუ ისე, შეხვედრა ფრედ დასრულდა. სწორედ იმ ანგარიშით, რომელიც მართლაც რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა გუშინდელი მატჩისთვის.

ჯგუფიდან მეოთხედფინალში, ალბათ, ეს გუნდები გავლენ, რადგან საეჭვოა, მექსიკამ ბრაზილიას მოუგოს, ავსტრალიამ კი მასპინძლები ვერ დაამარცხოს.

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| საუდეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## გერმანია

XIX ტური

**ჰერთა 2:0 კაიზერი**
1:0 კარლი (3), 2:0 პრეტცი (71)

**ჰამბურგი 1:2 ვოლფსბურგი**
0:1 რეინა (37), 0:2 პრეგერი (71), 1:2 შნორი (86)

**კიოლნი 4:2 დორტმუნდი**
1:0, 2:0 პოლსტერი (7, 17), 2:1 ჰერლიხი (20), 2:2 შაპუიზა (50), 3:2 აზიზი (62), 4:2 პოლსტერი (75)

**შალკე 1:1 დუისბურგი**
1:0 დე კოკი (5), 1:1 ოსტჰოფი (30)

**ბოხუმი 0:0 ლევერკუზენი**

**შტუტგარტი 1:0 არმინია**
1:0 ბალაკოვი (80)

**კარლსრუე 0:0 მიუნხენი**

**ჰანზა 1:2 ვერდერი**
1:0 რემერი (11), 1:1, 1:2 ბოდე (12, 53)

**ბაიერნი 3:2 გლადბახი**
1:0, 2:0 იანკერი (20, 50), 3:0 ნერლინგერი (52), 3:1 ეფენბერგი (63), 3:2 პეტერსონი (87)

# გამოცანა სკალასთვის

პარასკევს ბუნდესლიგის ლიდერი „კაიზერსლაუტერნი" ბერლინში „ჰერტას" ესტუმრა. მასპინძლები ბოლო ტურების მანძილზე ძალიან კარგად ასპარეზობენ და ამ მატჩს ყველა მოუთმენლად ელოდა. სტუმრებს თავდასხმაში პრობლემები ჰქონდათ, მათ არ ჰყავდათ ძირითადი ფორვარდები — მარშალი და კუკა. ამიტომაც იყო, შეტევის დამამთავრებელ ფაზაში „კაიზერსლაუტერნი" აშკარად რომ მოისუსტებდა. მასპინძლებმა აღმავლობით ჩაატარეს მთელი შეხვედრა და გაიმარჯვეს 2:0. პირველი გოლი შორეული საჯარიმო დარტყმით გავიდა, მეორე კი მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობის შედეგი გახლდათ.

იმავე დღეს „ვერდერმა" ბოდეს გოლების წყალობით სტუმრად „ჰანზა" დაამარცხა 2:1.

შაბათის მატჩებიდან ყურადღების ცენტრში მიუნხენის „ბაიერნის" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შეხვედრა იყო. მიუნხენელები გამარჯვების შემთხვევაში ლიდერთან ქულათა სხვაობას შეამცირებდნენ. „ბაიერნმა" ამ მატჩში ორი ძირითადი ფეხბურთელი — ჰელმერი და შოლი მოისაკლისა, სამაგიეროდ, კვლავ გამოჩნდა მარიო ბასლერი, სტუმრებს კი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდათ. ამ გუნდთა შეხვედრა, მიუხედავად მათი სატურნირო მდგომარეობისა, ყოველთვის საინტერესოა და იგი ახლაც მეტად დაძაბული გამოდგა. დასაწყისი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა: „ბაიერნის" რიგებში აქტიურობდნენ იანკერი, ციკლერი, ბასლერი, არც მიონხენგლადბახელები უდებდნენ ტოლს ჩემპიონს და სახიფათო შეტევებით პასუხობდნენ, განსაკუთრებით ფლიპსენი, ეფენბერგი, ვინჰოფი და პეტერსონი გამოირჩეოდნენ. საერთოდ, მიუნხენელები ვერაფრით ახერხებდნენ მთელი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებას, ბრწყინვალედ ნათამაშევ 15-20 წუთიან მონაკვეთებს ულიმღამო წუთები ცვლის. ამჯერადაც ასე იყო — „ბაიერნი" ძლიერად გამოიყურებოდა პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში, მატჩის ბოლოს კი კვლავ გაუჭირდა და საბოლოოდ მინიმალური ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა. დორტმუნდის „ბორუსია" აუტსაიდერ „კიოლნს" ესტუმრა. ჩემპიონთა ლიგაში და საკონტინენტთაშორისო თასზე კარგი თამაშის შემდეგ ყველა ელოდა, რომ „ბორუსია" ბუნდესლიგაშიც დაიწყებდა აღმასვლას, მით უმეტეს, აუტსაიდერთან მატჩში, მაგრამ ნევიო სკალამ ვერაფრით მოარგო გუნდი ბუნდესლიგას. მისთვის უმაღლესი გერმანული ლიგა კვლავ გამოცანად რჩება, რაც თავადაც არაერთხელ განუცხადებია. კიოლნმა გაიმარჯვა 4:2. ავსტრიელმა პოლსტერმა 3 გოლი გაიტანა.

„შალკე" „დუისბურგს" ნაკლული შემადგენლობით შეებრძოლა. მას არ ჰყავდა ჩეხი ლეგიონერები — ლატალი და ნემეცი, არც ბელგიური დუეტი — გუსენსი და ვილმოტსი. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც „შალკემ" გახსნა: ჰოლანდიელმა დე კოკმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით გაიტანა. „დუისბურგის" მოთამაშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ ძლიერ მეტოქეს, საპასუხო გოლიც შეაგდეს და თამაშის მოგებაც შეეძლოთ, შეტევის დაგვირგვინებისას ოდნავ ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ. განსაკუთრებით სალუ აქტიურობდა. საბოლოოდ ფრე 1:1. ხუთშაბათს უეფას თასის მფლობელთა კარის დარაჯმა, იენს ლემანმა საკმაოდ უცნაური ნაბიჯი გადადგა — უარყო „რეალის" და „მილანის" მიწვევები და კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი.

„ჰამბურგმა" შინ მორიგი მარცხი იწვნია. სტუმარი, დებიუტანტი „ვოლფსბურგი" ნამდვილად ქების ღირსია: მან ამ მატჩშიც კარგად ითამაშა და ყველა სკეპტიკოსი გააჩუმა. როგორც ყოველთვის, თავი გამოიჩინეს კლაუდიო რეინამ და როი პრეგერმა. „ჰამბურგი" კი ძალზე სუსტად და არაორგანიზებულად გამოიყურებოდა.

„შტუტგარტმა" შინ დიდი გაჭირვებით სძლია „არმინიას". გუნდს მხსნელად კვლავ ბულგარელი ბალაკოვი მოევლინა: შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მან ბრწყინვალე გოლი გაიტანა, რომელიც მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა — 1:0.

„კარლსრუესა" და „მიუნხენ 1860"-ის შეხვედრა უშედეგოდ, 0:0 დასრულდა. მასპინძლებს ორიოდ მომენტი ჰქონდათ, მაგრამ გილევიცმა და მაროტმა არაზუსტად ითამაშეს. სტუმართაგან ვინკლერს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ისიც ამაოდ დაშვრა.

**გია გილიბაშვილი**



ჰერტა — კაიზერი. პრეცი და დინცი ლიდერის ძლევას ხარობენ

REUTERS

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 19 | 13 | 3 | 3 | 39:23 | 42 |
| ბაიერნი | 19 | 11 | 5 | 3 | 40:23 | 38 |
| შტუტგარტი | 19 | 10 | 5 | 4 | 39:22 | 35 |
| ლევერკუზენი | 19 | 8 | 7 | 4 | 34:22 | 31 |
| შალკე | 19 | 8 | 7 | 4 | 21:16 | 31 |
| ვოლფსბურგი | 19 | 8 | 3 | 8 | 25:27 | 27 |
| ჰანზა | 19 | 7 | 4 | 8 | 29:27 | 25 |
| დუისბურგი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:25 | 25 |
| ჰერტა | 18 | 7 | 4 | 7 | 23:26 | 25 |
| ვერდერი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:30 | 25 |
| კარლსრუე | 19 | 6 | 6 | 7 | 31:36 | 24 |
| დორტმუნდი | 18 | 5 | 6 | 7 | 28:28 | 21 |
| მიუნხენი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:33 | 21 |
| ჰამბურგი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:31 | 20 |
| ბოხუმი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:30 | 20 |
| კიოლნი | 19 | 6 | 2 | 11 | 30:42 | 20 |
| გლადბახი | 19 | 4 | 7 | 8 | 30:36 | 19 |
| არმინია | 19 | 6 | 1 | 12 | 23:31 | 19 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-17 ტური. ფიურტი — გიუტერსლო 0:0; კიკერსი — ფრაიბურგი 0:1; ვატენშაიდი — ლაიპციგი 4:0; დიუსელდორფი — კარლ ცაისი 2:2; ფორტუნა — აინტრახტი 1:2; ცვიკაუ — ურდინგენი 1:0; მაინცი — მეპენი 3:0; კოტბუსი — ნიურნბერგი 1:1; ზანქტ პაული — უნტერჰახინგი დღეს გაიმართება

## ინგლისი

XVIII ტური

**არსენალი 1:3 ბლექბერნი**
1:0 ოვერმარსი (18), 1:1 უილკოქსი (57), 1:2 გალაჰერი (65), 1:3 შერვუდი (89)

**ბარნსლი 2:2 ნიუკასლი**
1:0 რედფერნი (9), 1:1, 1:2 გილესპი (44, 49), 2:2 ჰენდრი (75)

**ბოლტონი 3:3 დერბი**
1:0 ტომსონი (50პ.), 1:1 ერანიო (55), 1:2, 1:3 ბაიანო (64, 69), 2:3 ბლეიკი (72), 3:3 პოლოკი (77)

**ჩელსი 0:0 ლიდსი**

**ქოვენთრი 4:0 ტოტენჰემი**
1:0 ჰაკერბი (42), 2:0 ბრინი (63), 3:0 ჰაკერბი (84), 4:0 ჰოლი (87)

**კრ. პალასი 0:3 ლივერპული**
0:1 მაკმანამანი (39), 0:2 ოუენი (56), 0:3 ლეონარდსენი (61)

**ევერტონი 0:0 უიმბლდონი**

**საუთჰემპტონი 2:1 ლესტერი**
1:0 ლე ტისიე (2), 2:0 ბენალი (54), 2:1 სევიჯი (84)

**ვესტ ჰემი 1:0 შეფილდი**
1:0 კიტსონი (68)

**მანჩესტერი — ასტონ ვილა**
*დღეს გაიმართება*

„ჩელსის" საჩემპიონო მისწრაფებებს შაბათს „ლიდსის" სახით სერიოზული დაბრკოლება გადაეღობა. ლონდონელებმა, რომელთაც წინა ორ მატჩში 10 გოლის გატანა შეძლეს, ამჯერად ვერაფერი გააწყვეს პირველ ნახევარშივე ალფინგე ჰაალანდისა და გარი კელის გაძევების გამო 9 კაცის შემადგენლობით დარჩენილი სტუმრების წინააღმდეგ.

მატჩის დაწყებამდე ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ლიდსელთა ყოფილი კაპიტნის, წინა კვირადღეს გულის შეტევისგან გარდაცვლილი ბილი ბრემნერის ხსოვნას, მაგრამ მომდევნო 45 წუთში ამ მოწიწებისა და პატივისცემისგან არაფერი დარჩა. არა, ბრემნერის ხსოვნა არავის შეუბღალავს, ფეხბურთელები მხოლოდ ერთმანეთს დაერივნენ და მსაჯმაც ზემოხსენებული წითლების გარდა გუნდები 3-3 ყვითლით დააშოშმინა.

ლიდსელთა თავკაცი ჯორჯ გრემი მე-4 ადგილზე გადამყვანი ქულით აღტაცებული დარჩა, თუმცა „ჩელსის" ზოგიერთი ფეხბურთელის საქციელით მოხიბლული ნამდვილად არ ეთქმოდა: „ისინი უნამუსოდ ცდილობდნენ მსაჯის დაყოლიებას, რათა მას ჩვენს კარში პენალტი დაენიშნა. როგორც წესი, ასე მაშინ იქცევიან, როცა კლასი აღარ ჰყოფნით," — განსაჯა მან.

გულიტს კი ნამატჩევს მხოლოდ მწუხარებით უნდა ეცქირა იმისთვის, თუ როგორ იკავებდა გათამაშების ცხრილში მისი გუნდის ადგილს „ბლექბერნ როვერსი", რომელმაც 0:1-ზე დიდებულად გამოიყენა „არსენალის" დაცვითი შეცდომები და მატჩის ბედიც თავის სასარგებლოდ შეატრიალა.

REUTERS

# მტრისას, ისე იგინებოდა



არსენალი — ბლექბერნი. სატონმა პეტის და ადამსს აჯობა

REUTERS

„არსენალისთვის" ეს ბოლო ექვს სალიგო შეხვედრაში ნაწნევი მე-4 მარცხი იყო და ვენგერის ბიჭებსაც მატჩის შემდეგ ფანებისგან ბევრი უსიამოვნო რამის მოსმენა მოუხდათ. პასუხის გაცემის ილაჯი მხოლოდ იან რაიტს შერჩა — იგი გასახდელის ფანჯრიდან გადადგა და შინ მიმავალ ქომაგებს ბოღმიანი გინების იშვიათი ნიმუშები შესთავაზა. „სკოტლანდ იარდის" იქვე მყოფმა წარმომადგენლებმა თქვეს, ცხოვრებაში მსგავსი არც წაგვიკითხავს და არც გვსმენიაო, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო რაიტისთვის მაინც არაფერი უკადრებიათ.

„ლივერპულმა" ციებიანი კალე რიდლეს გარეშეც იოლად მოუგო „კრისტალს" და ამ კლუბს ისევ გადაუწყვეტელ ამოცანად დაუტოვა პირველი საშინაო მოგების საქმე.

„ვესტ ჰემის" სამთვიანი იძულებითი შესვენებიდან მობრუნებულმა პოლ კიტსონმა „შეფილდ უენსდეის" 4-მატჩიანი მომგებიანი სერია შეაწყვეტინა, ხოლო „საუთჰემპტონმა" „ლესტერის" 2:1 ძლევით ასევე 4-მატჩიანი, ოღონდ მოუგებელი სერია შეწყვიტა.

ქოვენთრიში კვლავ განაგრძო თავისი უხეირო სვლა „ტოტენჰემმა". ამ მატჩში მასპინძელთა რიგებში ორკვირიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა „ქოვენთრისა" და სქოთთა ნაკრების 32 წლის კაპიტანი გარი მაკალისტერი, თუმცა, ალბათ, სჯობდა, მას კიდევ ცოტა ხანს შეეცადა — 32-ე წუთზე მან მუხლის ტრავმა გაიმიზეზა და ახლა იანვრის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს.

„მას ძლიერ მამაცი გული აქვს, მაგრამ ამ გულს კიდევ 6 კვირა აღარ მოუწევს აჩქარებით ცემა," — დანანებით შენიშნა გორდონ სტრაჩანმა.

რაც შეეხება ინგლისის ქართულ დიასპორას, თემურ ქეცბაიას, „ნიუკასლმა" ბარნსლიდან ადგილობრივი ჯონ ჰენდრის გვიანი გათანაბრებულის „წყალობით" მხოლოდ ერთი ქულა წამოიღო, ქინქლაძისა და შელიას „სიტი" კი, მართალია, ბირმინგემში 2:1 დამარცხდა, მაგრამ მანჩესტერელთა ახალმა ქართველმა თავისი დებიუტი პირველი ინგლისური გოლით აღნიშნა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 17 | 11 | 4 | 2 | 43:13 | 37 |
| ბლექბერნი | 18 | 10 | 6 | 2 | 33:19 | 36 |
| ჩელსი | 18 | 11 | 2 | 5 | 41:18 | 35 |
| ლიდსი | 18 | 9 | 4 | 5 | 26:19 | 31 |
| არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:21 | 30 |
| ლივერპული | 17 | 8 | 4 | 5 | 30:17 | 28 |
| დერბი | 17 | 8 | 3 | 6 | 33:27 | 27 |
| ლესტერი | 18 | 7 | 6 | 5 | 23:17 | 27 |
| ნიუკასლი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:21 | 25 |
| ვესტ ჰემი | 18 | 8 | 1 | 9 | 25:28 | 25 |
| უიმბლდონი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:21 | 23 |
| ასტონ ვილა | 17 | 6 | 3 | 8 | 19:23 | 21 |
| შეფილდი | 18 | 6 | 3 | 9 | 30:39 | 21 |
| ქოვენთრი | 18 | 4 | 8 | 6 | 17:24 | 20 |
| კრ. პალასი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:25 | 20 |
| ბოლტონი | 18 | 4 | 8 | 6 | 16:27 | 20 |
| საუთჰემპტონი | 18 | 6 | 1 | 11 | 22:28 | 19 |
| ტოტენჰემი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:32 | 16 |
| ევერტონი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:27 | 14 |
| ბარნსლი | 18 | 4 | 2 | 12 | 17:47 | 14 |

### პირველი დივიზიონი

22-ე ტური. ბირმინგემი — სიტი 2:1; ბრედფორდი — ბარი 1:0; ჩარლტონი — პორტ ვეილი 1:0; ჰადერსფილდი — ნორვიჩი 1:3; იფსვიჩი — პორტსმუთი 2:0; მიდლსბრო — რედინგი 4:0; ოქსფორდი — ქუინზ პარკი 3:1; შეფილდი — სვინდონი 2:1; სტოკპორტი — ტრანმერი 3:1; სტოკი — ქრიუ 0:2; სანდერლენდი — ვესტ ბრომვიჩი 2:0; ვულვერჰემპტონი — ნოტინგემი 2:1

## საფრანგეთი

XX ტური

**ლანსი 0:1 მარსელი**
0:1 გრაველენი (9)

**ბორდო 0:1 კანი**
0:1 ვანენბურგი (34)

**გინგამი 1:1 ოსერი**
0:1 გივარში (2), 1:1 მორეირა (4)

**შატორუ 1:1 ბასტია**
0:1 ანდრე (41), 1:1 დუფრე (57)

**ლიონი 0:1 ლე ავრი**
0:1 დეკანოვიჩი (80)

**ტულუზი 1:1 მონპელიე**
1:0 მორო (32), 1:1 სანჩესი (85)

**ნანტი 2:1 სტრასბური**
1:0 ნდიაიე (1), 2:0 ჟალანსა (56), 2:1 ოკპარა (69)

**მონაკო 1:0 რენი**
1:0 ანრი (54)

**პსჟ 1:1 მეცი**
1:0 რაი (63პ), 1:1 პირესი (68)

ლანსში მარსელის გუნდის თავდამსხმელის სავიერ გრაველენის მიერ თამაშის დასაწყისში გატანილმა გოლმა ამბიციურ სტუმრებს სამი ქულა მოუტანა. გრაველენის გამარჯვების გოლი ახლო მანძილიდან, ძლიერი დარტყმით გავიდა. „მარსელი", რომელსაც წინა სამი შეხვედრიდან ერთიც არ მოეგო, ახლა 37 ქულითაა.

— გული დაგვწყდა, რადგან ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ ხელიდან გავუშვით — თქვა მატჩის შემდეგ „ლანსის" მცველმა მარკ ვივიენმა.

# განა ვინ გვჯობია?

„მარსელის" გერმანელმა გოლკიპერმა ანდრეას კეპკემ, რომელმაც ამასწინათ, ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ვარსკვლავთა შეხვედრაში, 45 წუთში ხუთი გოლი გაუშვა, ახლა დაამტკიცა, რომ კვლავ ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა. მან რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა კარი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „მარსელს" წინა სამ შეხვედრაში გამარჯვება არ ეგემა. შინ, „მონპელიესთან" უსახური ფრესა და სტუმრად „ნანტსა" და „სტრასბურთან" დამარცხების შემდეგ გუნდს მოგება, უწინარეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსასწორებლად სჭირდებოდა.

— ამ გამარჯვებამ წინა სამი შეხვედრით გამოწვეული იმედგაცრუება საღლაც მოისროლა. ვგონებ, იგი ისევე კარგი იყო, სამი სტუმრად ნათამაშევი ფრე რომ იქნებოდა. ასეთი წარმატება, რაც სეზონი დაიწყო, თითზე ჩამოსათვლელი გვქონდა, ამიტომაც იგი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს — განაცხადა „მარსელის" მწვრთნელმა როლანდ კურბისმა.

საქმე ის გახლავთ, რომ „მარსელმა" ხსენებული სამი თამაშის გამო ლიდერობა სხვებს დაუთმო, მაგრამ „ლანსთან" მიღწეული გამარჯვებით ყველას შეახსენა, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ზრახვანი აქვს.

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი მიზანი ხუთეულში ადგილის მოპოვებაა, მაგრამ არასდროს დამიზუსტებია კონკრეტულად რომელი ადგილი დაგვაკმაყოფილებს, თუ ჩემპიონები გავხდით, ესე იგი ბედმაც შეგვიწყო ხელი, მაგრამ მეორე მხრივ ჩვენზე ძლიერი დიდი-დიდი ორი გუნდი თუა — დასძინა კურბისმა, ოღონდ კონკრეტულად არ დაასახელა იმ ორი გუნდის ვინაობა. ალბათ „მონაკოსა" და „პარი სენ ჟერმენს" გულისხმობდა.

ფრანგული ლიგის მაჩანჩალა „კანმა" კალაპოტიდან ამოვარდნილ „ბორდოს" 1:0 აჯობა. „პარკ ლესკურის" სტადიონზე ერთადერთი გოლი, ევროპის 1988 წლის ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა გერალდ ვანენბურგმა პენალტით გაიტანა. ამ გამარჯვების მიუხედავად სამხრეთული გუნდი მე-18 პოზიციაზე რჩება.

„ჟერლანის" სტადიონზე კი „ლე ავრმა" უსახურ „ლიონს" 1:0 მოუგო. ეს მიმდინარე სეზონში „ლე ავრის" პირველი გამარჯვება იყო სტუმრად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 20 | 13 | 2 | 5 | 34:18 | 41 |
| მეცი | 20 | 11 | 6 | 3 | 31:18 | 39 |
| პსჟ | 20 | 11 | 5 | 4 | 32:17 | 38 |
| მარსელი | 20 | 11 | 4 | 5 | 26:14 | 37 |
| ლანსი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:23 | 34 |
| ბორდო | 20 | 8 | 8 | 4 | 24:20 | 32 |
| ოსერი | 20 | 9 | 3 | 8 | 32:27 | 30 |
| ბასტია | 20 | 7 | 8 | 5 | 22:16 | 29 |
| ლიონი | 20 | 8 | 2 | 10 | 23:24 | 26 |
| ტულუზი | 20 | 6 | 7 | 7 | 17:24 | 25 |
| მონპელიე | 20 | 5 | 9 | 6 | 19:21 | 24 |
| გინგამი | 20 | 6 | 6 | 8 | 19:22 | 24 |
| ნანტი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:25 | 23 |
| ლე ავრი | 20 | 3 | 10 | 7 | 18:23 | 19 |
| შატორუ | 20 | 5 | 4 | 11 | 18:32 | 19 |
| სტრასბური | 20 | 4 | 6 | 10 | 20:29 | 18 |
| რენი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:33 | 17 |
| კანი | 20 | 5 | 2 | 13 | 19:36 | 17 |

## იტალია

XII ტური

**ატალანტა 1:2 მილანი**

0:1 ლუკარელი (2ს.კ.), 1:1 სგრო (17), 1:2 კლუივერტი (58)

**ბარი 0:0 უდინეზე**

**ბოლონია 2:0 ლეჩე**

1:0 კრისტალინი (20), 2:0 კოლივანოვი (87)

**ემპოლი 4:1 სამპდორია**

0:1 ფრანჩესკეტი (9), 1:1 ტონეტო (25), 2:1, 3:1 მარტუშელო (39, 54), 4:1 ესპოზიტო (65)

**ინტერი 3:0 რომა**

1:0 ჯორკაეფი (41პ.), 2:0 ბრანკა (49), 3:0 სამორანო (71)

**ლაციო 1:0 ბრეშია**

1:0 ბოკშიჩი (27)

**ნაპოლი 0:4 პარმა**

0:1 ბლომკვისტი (17), 0:2 ბაჯო (52), 0:3, 0:4 კრესპო (64, 72)

**პიაჩენცა 1:1 იუვენტუსი**

0:1 ფონსეკა (77), 1:1 პიოვანი (79)

**ვიჩენცა 1:5 ფიორენტინა**

0:1 ოლივეირა (6), 0:2 ბატისტუტა (42), 0:3 ოლივეირა (54), 0:4 სერენა (59), 0:5 შვარცი (65), 1:5 დი ნაპოლი (81)

„ინტერმა" ბრაზილიელი რონალდოს გარეშეც გაიტანა გოლები. „რომას" დასამარცხებლად შავ-ლურჯთა სხვა უცხოელებმა გამოიღეს ხელი. პირველი გოლი პენალტით ფრანგმა იური ჯორკაეფმა გაიტანა. პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ „რომას" მეკარემ არგენტინელი დიეგო სიმეონე წააქცია. შემდეგ იმავე არგენტინელმა მარკო ბრანკა ჩინებულად გაიყვანა საგოლე პოზიციაზე, მესამე კი ჩილელმა ივან სამორანომ შეაგდო. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში, ერთწუთიან მონაკვეთში მსაჯმა ორი რომაელი მატეო პივოტო და ფრანჩესკო ტოტი გააძევა მოედნიდან.

პიაჩენცაში კი „იუვენტუსი" საკუთარ ჩრდილსლა ჰგავდა. უკბილო ტურინელებს შეცვლაზე შესულმა ურუგვაელმა დანიელ ფონსეკამ უშველა. მან საუცხოო რეიდი განახორციელა და ბურთი ბადეში შეაგდო, მაგრამ გავიდა ორი წუთი და „იუვეს" მეკარის, ანჯელო პერუცის უხეშმა შეცდომამ ჯანპიეტრო პიოვანის ანგარიში გაათანაბრებინა.

„პარმამ" საბრალო აუტსაიდერ „ნაპოლის" 4:0 მოუგო. ცნობისთვის, პარმელებს იტალიის პირველობაზე 9 ნოემბრის მერე არ მოეგოთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 12 | 9 | 3 | 0 | 29:12 | 30 |
| იუვენტუსი | 12 | 7 | 5 | 0 | 26:9 | 26 |
| უდინეზე | 12 | 7 | 2 | 3 | 25:22 | 23 |
| პარმა | 12 | 6 | 4 | 2 | 22:9 | 22 |
| რომა | 12 | 6 | 4 | 2 | 23:13 | 22 |
| მილანი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| ლაციო | 12 | 5 | 3 | 4 | 17:13 | 18 |
| ვიჩენცა | 12 | 5 | 3 | 4 | 17:22 | 18 |
| ფიორენტინა | 12 | 4 | 5 | 3 | 24:15 | 17 |
| სამპდორია | 12 | 4 | 4 | 4 | 18:22 | 16 |
| ემპოლი | 12 | 4 | 1 | 7 | 17:21 | 13 |
| ბრეშია | 12 | 4 | 1 | 7 | 16:21 | 13 |
| ბოლონია | 12 | 2 | 5 | 5 | 20:22 | 11 |
| ატალანტა | 12 | 3 | 2 | 7 | 12:18 | 11 |
| პიაჩენცა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:17 | 11 |
| ბარი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:22 | 11 |
| ლეჩე | 12 | 3 | 1 | 8 | 9:22 | 10 |
| ნაპოლი | 12 | 1 | 2 | 9 | 8:28 | 5 |

### სერია B

მე-17 ტური. ანკონა — ლუკეზე 0:1; კალიარი — რეჯანა 0:0; ფ. ანდრია — ტრევიზო 0:0; ფოჯა — კოვო 0:1; ჯენოა — რეჯინა 0:0; მონცა — პადოვა 2:0; პესკარა — რავენა 1:1; ტორინო — დი სანგრო 4:1; ვენეცია — სალერნიტანა 0:3; ვერონა — პერუჯა 0:1

## ჰოლანდია

**როდა 3:0 მაასტრიხტი**

1:0, 2:0 ტორმა (3, 25), 3:0 ლავალი (72)

**სპარტა 4:1 ტილბურგი**

1:0, 2:0 დე ნოაიერი (22, 32), 3:0 დენ დუნენი (36), 3:1 გალაშეკი (46), 4:1 დენ დუნენი (52)

**ჰერენვენი 3:2 ვიტესი**

0:1 მახლასი (16), 0:2 ჩუროვიჩი (45), 1:2, 2:2 სამარჯიჩი (59, 62), 3:2 ვან ნისტელროი (84)

**ვალვაიკი 1:2 სიტარდი**

0:1 ვან ბომელი (64), 0:2 ჯეფრი (69), 1:2 ნილსენი (75)

**ვოლენდამი 0:3 აიაქსი**

0:1 ლიტმანენი (38), 0:2 ფ. დე ბური (60), 0:3 ლიტმანენი (65)

**გრონინგენი 1:1 ბრედა**

1:0 ბომბარდა (23), 1:1 მილიჩიჩი (83)

**ფეიენოორდი 2:2 ტვენტე**

0:1 ვან ჰალსტი (33), 1:1 კონოლი (69), 1:2 ვანეგოორი (72), 2:2 ვან გობელი (85)

**უტრეხტი — ეინდჰოვენი**

გადაიდო

„აიაქსმა" ჩემპიონობისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. „ვოლენდამთან" გამარჯვება ამსტერდამელებს მეორე ადგილზე მყოფ „ეინდჰოვენთან" შთამბეჭდავ უპირატესობას ანიჭებს. გოლების შეფარდებას აღარ იკითხავთ? 59 გატანილი და მხოლოდ 4 გაშვებული.

კვირა რომ მოვა, „აიაქსი" „ეინდჰოვენს" უშუალოდ შეებმება. ფილიპსის გუნდს თუ არ სურს ამსტერდამელი ლიდერი ჰორიზონტს მიღმა იხილოს, აუცილებლად უნდა მოიგოს.

გუშინდელ თამაშში „აიაქსს" არ გასჭირვებია. პირველი ტაიმის ბოლოსკენ „ვოლენდამის" კარიდან 18 მეტრში დანიშნული ჯარიმა იარი ლიტმანენმა გოლად გარდასახა. მეორეში რონალდ დე ბურმა კუთხური ჩააწოდა, მისმა ტყუპისცალმა ფრანკმა კი ბურთი ბადეში შეაგდო, ხოლო ამ ამბიდან ხუთი წუთის შემდეგ ისევ რონალდ დე ბურის კუთხურიდან ლიტმანენმა ივარგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 19 | 18 | 1 | 0 | 59:4 | 55 |
| ეინდჰოვენი | 18 | 10 | 7 | 1 | 52:21 | 37 |
| ვიტესი | 19 | 10 | 5 | 4 | 47:32 | 35 |
| ჰერენვენი | 19 | 10 | 5 | 4 | 31:23 | 35 |
| ფეიენოორდი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:23 | 32 |
| ტილბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 33:27 | 30 |
| სპარტა | 19 | 7 | 6 | 6 | 37:33 | 27 |
| სიტარდი | 19 | 8 | 2 | 9 | 26:35 | 26 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 2 | 8 | 34:39 | 23 |
| როდა | 19 | 6 | 4 | 9 | 26:26 | 22 |
| ტვენტე | 18 | 5 | 7 | 6 | 21:22 | 22 |
| ბრედა | 19 | 6 | 4 | 9 | 21:25 | 22 |
| ნაიმეგენი | 19 | 7 | 1 | 11 | 22:40 | 22 |
| გრააფსხაპი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:19 | 21 |
| მაასტრიხტი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:47 | 17 |
| გრონინგენი | 19 | 3 | 7 | 9 | 23:35 | 16 |
| ვალვაიკი | 19 | 3 | 6 | 10 | 23:40 | 15 |
| ვოლენდამი | 19 | 2 | 5 | 12 | 13:49 | 11 |

## შოტლანდია

მე-17 ტური. სელტიკი — ჰართსი 1:0; დანფერმლაინი — რეინჯერსი 0:0; ჰიბერნიანი — აბერდინი 2:2; მოზერველი — დანდი იუნაიტედი 1:0; სენტ ჯონსტონი — კილმარნოკი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 17 | 12 | 1 | 4 | 37:18 | 37 |
| რეინჯერსი | 17 | 10 | 6 | 1 | 42:18 | 36 |
| სელტიკი | 17 | 11 | 2 | 4 | 29:12 | 35 |
| დანდი იუნ. | 17 | 5 | 6 | 6 | 27:25 | 21 |
| დანფერმლაინი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:32 | 21 |
| სტ. ჯონსტონი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:24 | 20 |
| კილმარნოკი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:33 | 19 |
| მოზერველი | 17 | 4 | 4 | 9 | 21:29 | 16 |
| ჰიბერნიანი | 17 | 3 | 5 | 9 | 23:27 | 14 |
| აბერდინი | 17 | 2 | 7 | 8 | 17:33 | 13 |

## ფიატმა პატარა უფლისწული დაკარგა

შაბათს ტურინში გარდაიცვალა „ფიატის" იმპერიის ახალგაზრდა მემკვიდრე ჯოვანი ალბერტო ანიელი, ძმისშვილი ამ უმსხვილესი იტალიური კორპორაციის საპატიო თავმჯდომარისა და მოტოციკლების მწარმოებელი ჯგუფის — „პიაჯოს" პრეზიდენტის ჯოვანი ანიელისა.

ახალგაზრდა „ჯოვანინო", რომელსაც მისი კეთილშობილებისა და იშვიათი პიროვნული თვისებების გამო იტალიელები „მომხიბლავ უფლისწულსაც" უწოდებდნენ, 33 წლისა აღესრულა.

კუჭის კიბოს უიშვიათესმა ფორმამ, რომელიც ჯოვანი ალბერტოს ამა წლის აპრილში დაუდგინეს, ანიელთა ზეპური ოჯახის მრავალი მისწრაფება დაასამარა. „ფიატის" მემკვიდრედ იგი 1995 წელს დაასახელეს და მისი ხელმძღვანელობა ჯოვანის საგაისოდ, ამჟამინდელი თავმჯდომარის, ჩეზარე რომიტის გადადგომის შემდეგ უნდა ეტვირთა. ამგვარად, „ფიატის" 100 წლის თავზე, ანუ 1999 წელს ფირმა ისევ ანიელების ხელში უნდა მოქცეულიყო...

ნიჭიერმა ახალგაზრდამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი გააკეთა, რათა დედამისის ოჯახის სამოტოციკლო ფირმა „პიაჯო" ამ დარგში მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე გამხდარიყო. სიკვდილმა ჭაბუკ ანიელის არ დააცალა, უკანასკნელ კონკურენტებს, იაპონურ „ჰონდას", „სუძუკისა" და „იამაჰასაც" შებმოდა.

„მომხიბლავი უფლისწულის" ამქვეყნიურ ცხოვრებას მისი სამი თვის ქალიშვილი ვირჯინია ეიშა განაგრძობს, რომელიც ანიელის ბრიტანელ-ამერიკელი არქიტექტორის, ევრი ჰაუსაგან შეეძინა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელი დიდი სიხარული კი „ჯოვანინომ" გასული კვირის ოთხშაბათს განიცადა, როდესაც მისი ბოლო გამოჩენა „დელე ალპიზე" „იუვემ" მანჩესტერის ძლევითა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლით აღნიშნა.

## ბელგია

მე-16 ტური. ვესტერლო — აალსტი 0:3; ბევერენი — ეკერენი 0:1; ანტვერპენი — ლოკერენი 1:2; მოლენბეკი — შარლერუა 1:2; ლიერსი — მუსკრონი 2:0; გენკი — სტანდარდი 1:1; გენტი — სტ. ტრუიდენი 1:1; ბრიუგე — ლომელი 2:0; ჰარელბეკი — ანდერლეხტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 15 | 13 | 2 | 0 | 42:10 | 41 |
| ჰარელბეკი | 16 | 8 | 7 | 1 | 31:16 | 31 |
| გენკი | 16 | 9 | 3 | 4 | 36:22 | 30 |
| ეკერენი | 16 | 8 | 3 | 5 | 25:21 | 27 |
| ლიერსი | 16 | 7 | 4 | 5 | 28:19 | 25 |
| ლომელი | 16 | 7 | 3 | 6 | 27:23 | 24 |
| ანდერლეხტი | 16 | 7 | 3 | 6 | 21:19 | 24 |
| სტ. ტრიუდენი | 16 | 6 | 5 | 5 | 17:18 | 23 |
| გენტი | 16 | 5 | 6 | 5 | 25:23 | 21 |
| ლოკერენი | 16 | 7 | 0 | 9 | 27:37 | 21 |
| ვესტერლო | 16 | 5 | 5 | 6 | 25:32 | 20 |
| შარლერუა | 16 | 5 | 5 | 6 | 21:31 | 20 |
| სტანდარდი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| აალსტი | 16 | 5 | 3 | 8 | 25:29 | 18 |
| მუსკრონი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:21 | 16 |
| ბევერენი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | 14 |
| მოლენბეკი | 15 | 3 | 2 | 10 | 16:37 | 11 |
| ანტვერპენი | 14 | 2 | 2 | 10 | 15:28 | 8 |

## პორტუგალია

მე-13 ტური. ვარზიმი — ბოავიშტა 0:0; პორტუ — გიმარაეში 1:0; მარიტიმუ — ბენფიკა 1:0; ამადორა — შავეში 4:1; ლეცა — ფარენსე 2:1; კამპომაიორენსე — ბრაგა 4:0; აკადემიკა — რიუ ავე 0:0; ბელენენსეში — სალგეირუში 2:1; სეტუბალი — სპორტინგი გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 9 | 4 | 0 | 28:10 | 31 |
| გიმარაეში | 13 | 8 | 1 | 4 | 20:9 | 25 |
| რიუ ავე | 13 | 7 | 3 | 3 | 22:17 | 24 |
| ბენფიკა | 13 | 5 | 5 | 3 | 16:11 | 20 |
| სპორტინგი | 12 | 5 | 5 | 2 | 12:7 | 20 |
| ამადორა | 13 | 5 | 4 | 4 | 15:16 | 19 |
| სალგეირუში | 13 | 4 | 6 | 3 | 16:13 | 18 |
| კამპომაიორ. | 13 | 5 | 3 | 5 | 17:17 | 18 |
| მარიტიმუ | 13 | 5 | 3 | 5 | 14:14 | 18 |
| ბრაგა | 13 | 4 | 4 | 5 | 17:19 | 16 |
| ლეცა | 13 | 4 | 4 | 5 | 14:16 | 16 |
| ფარენსე | 13 | 3 | 6 | 4 | 13:16 | 15 |
| ვარზიმი | 13 | 3 | 6 | 4 | 8:15 | 15 |
| აკადემიკა | 13 | 3 | 5 | 5 | 10:13 | 14 |
| ბოავიშტა | 13 | 2 | 7 | 4 | 7:10 | 13 |
| სეტუბალი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:14 | 10 |
| ბელენენსეში | 13 | 1 | 6 | 6 | 8:16 | 9 |
| შავეში | 13 | 2 | 2 | 9 | 9:21 | 8 |

## ისრაელი

მე-14 ტური. ბეითარი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (ბეით შიანი) 5:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — ბნეი იეჰუდა 1:0; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ირონი (აშდოდი) 2:2; მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 0:1; ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; ჰაპოელი (ბეერშევა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 1:1; ირონი (რიშონი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:2; ჰაპოელი (აშქელონი) — მაკაბი (ჰერცლია) 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 14 | 8 | 6 | 0 | 35:16 | 30 |
| ჰ. თელ ავივი | 14 | 8 | 5 | 1 | 14:6 | 29 |
| ჰ. ჰაიფა | 14 | 8 | 4 | 2 | 25:14 | 28 |
| მ. ჰაიფა | 14 | 7 | 3 | 4 | 25:17 | 24 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 14 | 7 | 3 | 4 | 22:17 | 24 |
| ი. აშდოდი | 14 | 5 | 7 | 2 | 20:17 | 22 |
| ჰ. იერუსალიმი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:18 | 21 |
| ჰ. ქვარ სავა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:19 | 20 |
| მ. ჰერცლია | 14 | 4 | 5 | 5 | 19:18 | 17 |
| მ. ფეთახ თიკვა | 14 | 3 | 7 | 4 | 10:13 | 16 |
| ი. რიშონი | 14 | 3 | 5 | 8 | 16:22 | 14 |
| მ. თელ ავივი | 14 | 3 | 4 | 7 | 14:18 | 13 |
| ჰ. აშქელონი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:23 | 12 |
| ბნეი იეჰუდა | 14 | 2 | 5 | 7 | 12:19 | 11 |
| ჰ. ბეით შიანი | 14 | 2 | 4 | 8 | 12:23 | 10 |
| ჰ. ბეერშევა | 14 | 1 | 5 | 8 | 15:29 | 8 |

## რაში ნასვლას აპირებს

„ნიუკასლის" ვეტერანმა, უელსელმა იან რაშმა უქმეებზე განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს იგი, ალბათ, დაასრულებს 18-წლიან აქტიურ საფეხბურთო მოღვაწეობას და კარიერის გაგრძელებას მწვრთნელის რანგში ეცდება.

„მე მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე უმაღლეს დონეზე, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიჭირს. ეს სეზონი, ლბათ, უკანასკნელი იქნება ჩემთვის. ამის შემდეგ კი მენეჯმენტში გადასვლას ვისურვებდი. თუკი სამუშაოს პოვნას რომელიმე დაბალ დივიზიონში ვეცდები, ვფიქრობ, შესაფერის საქმესაც იოლად ვიპოვი. მოკლედ, სეზონის ბოლომდე მოვიცდი და მერე გზას ბარაქას დავაყრი" — თქვა რაშმა.

„არადა, როდესაც თამაშს ვიწყებდი, ვფიქრობდი, დიდი დიდი, 30 წლამდე მეთამაშა. როგორც ხედავთ, გეგმას უკვე წლით გადავაჭარბე და ეს ცოტა ნამდვილად არ არის."

## ესპანეთი

XVI ტური

**ვალენსია 4:1 კომპოსტელა**

1:0 ლოპესი (12), 2:0 ელაოვიჩი (60), 3:0 ანგულო (63), 4:0 ორტეგა (84), 4:1 ამარალი (85)

**დეპორტივო 1:1 სოსიედადი**

1:0 ფრანი (7), 1:1 გრასია (38)

**სპორტინგი 1:1 სალამანკა**

0:1 პაულეტა (17), 1:1 კუხარსკი (42)

**ტენერიფე 2:2 ატლეტიკო**

1:0 მაკეი (32), 2:0 კოდრო (44პ.), 2:1 ხოსე მარი (77), 2:2 პანტიჩი (88)

**რასინგი 2:3 სარაგოსა**

0:1 ბელსუე (16), 1:1 შურერი (45), 1:2 არაგონი (45პ), 1:3 იორდი (88), 2:3 ბეხჩასტნიხი (89)

**რეალი 1:0 მერიდა**

1:0 მარიანო (33ს.კ.)

**ვალიადოლიდი 1:0 ოვიედო**

1:0 პეტერნაჩი (36)

**მალიორკა 1:2 ბეტისი**

1:0 გალვესი (1), 1:1 იარნი (28), 1:2 ფინიდი (34)

**ბილბაო 2:1 სელტა**

0:1 რევივო (44), 1:1 ალკორტა (88), 2:1 რიოსი (89)

**ბარსელონა 3:1 ესპანიოლი**

1:0 ლუის ენრიკე (24), 2:0 ჯოვანი (51), 2:1 ესნაიდერი (58პ), 3:1 სერხი (72)

## კამაჩომ ცოფები ჰყარა

ესპანეთში „კამპ ნოუზე" კატალონიის დერბი გაიმართა. „ბარსელონა" უთავდამსხმელოდ გამოვიდა. ამ ფუნქციას მისი ნახევარმცველები — ლუის ენრიკე, ფიგუ და ჯოვანი ასრულებდნენ და არც თუ ურიგოდ. დაცვაში დებიუტი ჰქონდა ექსაიაქსელ უინსტონ ბოგარდს, რომელიც ფაქტობრივად მარტო ეთამაშა „ესპანიოლის" თავდასხმის დუეტს — ესნაიდერ-უედეკს და თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ პოზიციურ შეცდომას, ძალიან დამაჯერებლადაც გამოიყურებოდა. როცა ბოლო წუთზე ვან გაალმა იგი ალბერტ ფერერით შეცვალა, „კამპ ნოუმ" მხურვალე ოვაციით გააცილა. რაც შეეხება ოვაციას, მას უფრო მეტად იმსახურებდა „ბარსას" ჰოლანდიელი გოლკიპერი რუდ ჰესპი. მიუხედავად ანგარიშისა, იგი „ბარსას" შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ. „ესპანიოლის" მოთამაშე გილჩას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მისი დარტყმული აუღებელი ჯარიმები ჰესპმა მოიგერია.

„ესპანიოლი" ერთობ აფორიაქებული ჩანდა. მისი დაცვის ხაზი არგენტინელი პოჩეტინოს მეთაურობით საქმეს შეუდგა, მაგრამ მწვერთნელი, „რეალ მადრიდის" ყოფილი კაპიტანი ხოსე ანტონიო კამაჩო ერთობ აღაშფოთა რეფერის სწორმა მსაჯობამ, რომელიც მის შეგირდებს ყოველი უხეშობის მერე ყვითელ ბარათს აჩვენებდა. რეფერი იძულებული გახადა, იგი სიტყვით გაეფრთხილებინა. ეს ნერვიულობა, ცხადია, ფეხბურთელებსაც გადაედოთ და უპირველესად ალბათ მათ გოლკიპერ ტონის, რომელმაც ერთობ მარტივ სიტუაციაში პირდაპირ ლუის ენრიკეს დაუმიზნა, მისგან ასხლეტილი კი ბადეში აღმოჩნდა. 1:0 — ასე იღბლიანად დაწინაურდა „ბარსა". ამაზე კამაჩო სულ გადაირია. მთელი 10 წუთი იგი თავის ფეხბურთელებს გვარიანად „ამკობდა", ხოლო როცა მსაჯსაც იგივე გაუბედა, რეფერიმ მას ყვითელი ბარათი აუფრიალა. გაცოფებულმა კამაჩომ მსაჯს იგი სადღაც გადაუგდო, ხოლო როცა მის ნაცვლად წითელი იხილა, სრულიად დაკარგა წონასწორობა — ჯერ მასზე იწია, მერე — მის სათადარიგოზე.

კამაჩოს მოედნიდან გაყვანა ოთხმა მასავით მოსუქებულმა კაცმა ითავა და ხან დაყვავებითა და ხანაც ძალით, გაჭირვებით შეასრულეს ეს მისია.

მეორე ტაიმში „ბარსამ" ერთობ გაახრებული ფეხბურთი გააჩაღა. მთელი გუნდი მის კაპიტან ხოსეპ გვარდიოლას მეთაურობით ერთობ ლაღად ბურთაობდა. ამ კოლექტივში ყველაზე სუსტად იუგოსლავიელი ჩირიჩი გამოიყურებოდა. იგი კიდეც გამოცვალა ვან გაალმა მას შემდეგ, რაც ჯოვანის გამოზომილი პასით ტონისთან პირისპირ დარჩენილმა, მხოლოდ ძელი შეაზანზარა. ბურთი ისევ ჯოვანის მიუგორდა, რომელსაც არ გასჭირვებია კარში ჩამდგარი მცველისთვის იგი თავზე გადაეგდო — 2:0. ამის მერე თერთმეტმეტრიანი დაინიშნა „ბარსას" კარში. მისი შესრულება არგენტინელმა ესნაიდერმა ითავა. იგი აშკარად ნერვიულობდა. შუაში დარტყმული ჰესპმა კინალამ ფეხით აუღო 2:1. ამის შემდეგ „ბარსა" გააქტიურდა და სერხის გოლმაც არ დააყოვნა. „სარბიელის" მკითხველს ემახსოვრება, რომ ამ ფეხბურთელმა ერთი კვირის წინ სარაგოსაში და არა „კამპ ნოუზე" (როგორც ამას წინა ორშაბათს ვიუწყებოდით და რაზეც ბოდიშს გიხდით), ბრწყინვალე სოლო რეიდის შემდეგ დიდებული გოლი გაიტანა. მან ის გოლი მარჯვენა ფეხით შეაგდო. აღსანიშნავია, რომ მარჯვენათი სერხის არასდროს გაეტანა. ცნობისათვის, მან თამაში დაიწყო, როგორც მარცხენა თავდამსხმელმა, მაგრამ კრუიფმა სხვაგვარი თვალით შეხედა და დაცვაში დააყენა. და აი, სერხიმ გაიხსენა თავისი ძელი პროფესია და დერბის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ეს გოლიც ცენტრიდან მისი ბრწყინვალე სოლო რეიდის შედეგია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად იგი ტრადიციული მარცხენათი შეასრულა. 3:1 — ასე დამთავრდა კატალონიის დერბი, რომელიც „ბარსამ" დამსახურებულად მოიგო და, რაც მთავარია, გუნდმა წელს ყველაზე ლაღი და გაზრებული თამაში გვაჩვენა.

ნაკრების მოთამაშეების, რობერტო რიოსისა და რაფაელ ალკორტას მატჩის ბოლო წუთებში გატანილმა გოლებმა „სელტას" მესამე ადგილზე ასვლის შანსი წაართვა. მართალია, სტუმართა ებრაელმა თავდამსხმელმა ჰაიმ რევივომ პირველი ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე თავისიანები დააწინაურა, მაგრამ ბილბაოელებმა 88-ე და 89-ე წუთებზე იყოჩაღეს და სამი ქულა თავად იგდეს ხელთ.

მადრიდის „რეალმა" მართალია „მერიდას" 1:0 მოუგო და „ბარსელონას" სიახლოვეს შეინარჩუნა ადგილი, მაგრამ ქომაგები გაანაწყენა. „სამეფო გუნდს" გამარჯვება მარიანოს ავტოგოლმა მოუტანა, მისი კარი კი გადარჩა, როდესაც მერიდელმა მარკოსმა პენალტი ხარიხას გადააცილა.

სახიფათო ზონიდან თავი დაიძვრინა „ვალენსიამ", რომელმაც „კომპოსტელას" 4:1 აჯობა. გოლების გატანაში თავიანთი წვლილი დაიდეს „ვალენსიაში" მოთამაშე არგენტინელებმა კლაუდიო ლოპესმა და არიელ ორტეგამ.

**ონისე შინჯიკაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 16 | 12 | 1 | 3 | 35:19 | 37 |
| რეალი | 16 | 10 | 5 | 1 | 28:11 | 35 |
| ატლეტიკო | 16 | 8 | 6 | 2 | 36:18 | 30 |
| ესპანიოლი | 16 | 7 | 7 | 2 | 24:10 | 28 |
| სოსიედადი | 16 | 7 | 7 | 2 | 23:11 | 28 |
| სელტა | 16 | 8 | 3 | 5 | 27:20 | 27 |
| ბეტისი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:21 | 26 |
| ბილბაო | 16 | 6 | 7 | 3 | 21:18 | 25 |
| სარაგოსა | 16 | 6 | 5 | 5 | 26:27 | 23 |
| ოვიედო | 16 | 5 | 8 | 3 | 17:18 | 23 |
| მალიორკა | 16 | 5 | 6 | 5 | 22:15 | 21 |
| რასინგი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:22 | 19 |
| მერიდა | 16 | 4 | 4 | 8 | 12:22 | 16 |
| ვალიადოლიდი | 16 | 4 | 4 | 8 | 13:25 | 16 |
| ვალენსია | 16 | 4 | 3 | 9 | 16:23 | 15 |
| დეპორტივო | 16 | 2 | 9 | 5 | 17:21 | 15 |
| სალამანკა | 16 | 3 | 5 | 8 | 11:20 | 14 |
| კომპოსტელა | 16 | 3 | 5 | 8 | 22:33 | 14 |
| ტენერიფე | 16 | 3 | 5 | 8 | 14:27 | 14 |
| სპორტინგი | 16 | 0 | 3 | 13 | 14:37 | 3 |

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# მოღალატე მეკარეები

THE FIFA/CONFEDERATIONS CUP
FOR THE KING FAHD TROPHY
SAUDI ARABIA 97
PRESENTED BY CHEVROLET

**B ჯგუფი**

**საამიროები 0:2 ურუგვაი**

**საამიროები: ფარა, მუბარაქი, რაშედი, ბაკიტი, ახმედი, სალემი (ალტალანი 73), ალ ჯუნაიბი (აბდულა 93), ალი (საადი 73), საედ ახმედი, გოლამი, ობაიდი**
**ურუგვაი: ფლორესი, ლოპესი, მონტერო, მენდესი, დე ლოს სანტოსი, ადინოლფი, გარსია, ვესპა (ერნანდესი 90), ზალაიეტა, ოლივერა (პაშეკო 75), რეკობა (სილვა 54)**
**0:1 ოლივერა (45), 0:2 პაშეკო (90)**

მეორე ჯგუფის შეხვედრები ამ საკმაოდ მოსაწყენი მატჩით გაიხსნა. თამაში უინტერესო იმიტომ იყო, რომ ერთი გუნდი — ურუგვაი, გამუდმებით უტევდა, არაბები კი ცენტრს თუ გადასცდებოდნენ, ზეიმობდნენ.

სამხრეთ ამერიკელები, ჯერჯერობით გამართული მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტურნირის უდაო ფავორიტებად ითვლებიან — ბრაზილიამაც და ურუგვაიმაც მატჩები ისე მოიგეს, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ვარჯიშობენო. ურუგვაი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონთაგან ერთადერთია, საფრანგეთის საგზური რომ ვერ მოიპოვა, ტურნირზე ახალგაზრდული გუნდით ჩავიდა, რაც ამასწინათ მალაიზიაში გამართული 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ურუგვაელთა წარმატებულმა ასპარეზობამ განაპირობა. კონფედერაციების ჩემპიონთა ტურნირის დაწყებამდე ურუგვაელთა მწვრთნელი ვიქტორ პაუ ამბობდა კიდეც, დროა გუნდში ახალი ფეხბურთელები გამოვცადოთ, საუდის არაბეთში სწორედ ახალწვეულებს და დებიუტანტებს დავეყრდნობიო.

პაუ სიტყვის კაცი გამოდგა. არაბთა გაერთიანებული საამიროების გუნდს, მან ურუგვაის სახეშეცვლილი ნაკრები დაუპირისპირა. ესპანეთის პრიმერა დივიზიონში მობურთალი ნიკოლას ოლივერას ძირითადში დაყენება კი მართლაც მიგნება იყო. რაც ამ ბიჭმა არაბებს შაბათს დღე აყარა, ქების მეტს არაფერს იმსახურებს. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მალაიზიაში საუკეთესო ფეხბურთელად ტყუილად არ უცვნიათ. რაც შეეხება მის გოლს, იგი ოლივერამ მარსელო ზალაიეტას და ალვარო რეკობას დახმარებით შექმნა. ამ ორმა მოწინააღმდეგენი შესანიშნავი ფინტებით აქეთ-იქით მიაწვინა და მეკარეს ოლივერა შეატოვა, კაპიტანმა ფარამ კი თანაგუნდელები დაალალატა. გოლამდე ურუგვაელებს სულ მცირე, სამჯერ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მაშინ, როცა ბურთისთვის კარისკენ მიმავალი გზა უნდა ეჩვენებინათ, რატომღაც ძლიერ იბნეოდნენ. მეორე ტაიმში დაწინაურებული ურუგვაელები ჟონგლიორობდნენ, რაც მეტოქის უნიათობის გამო კიდეც გამოსდიოდათ. მეორე გოლი კი შეცვლაზე შესულმა პაშეკომ დარიო სილვას უგრძესი პასის შემდეგ შეაგდო.

ურუგვაელებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მათ რეალურ ძალაზე ამ თამაშით ვერ იმსჯელებ. რაც შეეხება მათი თავკაცის აზრს, პაუმ განაცხადა, თამაში, განსაკუთრებით კი ახალწვეულებით, ძლიერ კმაყოფილი ვარო.

**ს. აფრიკა 2:2 ჩეხეთი**

**ს. აფრიკა: არენდსე, მოტაუნგი, ჯეკსონი, ფიში, მასინგა, ტოვი, მოშოუ, მკალელე, ავგუსტინი (ვილიამსი 74), ხუმალო (ნგობე 37), მოეტი**
**ჩეხეთი: სრნიჩეკი, ნედველი, ჰორნაკი, ნემეცი, სვობოდა, კუკა (სლონჩიკი 92), ბეიბლი, რადა, ვლაჩეკი, ლასოტა, შმიცერი (პობორსკი 46)**
**0:1 შმიცერი (20), 1:1 ავგუსტინი (39), 1:2 შმიცერი (40), 2:2 მკალელე (84)**

გერმანიის ნაცვლად მოასპარეზე ევროპის ვიცე-ჩემპიონებმა აშკარად დაკარგეს ორი ქულა. იმიტომ კი არა, რომ ჩეხებმა ბოლო წუთებში გაუშვეს მეორე გოლი, არა, უბრალოდ, ისინი რამდენიმე ბურთის სხვაობით მოგებას იმსახურებდნენ.

ჩეხებმა, რომლებმაც კვლავ ვერ მოახერხეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა, სამხრეთ აფრიკელებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა დაუპირისპირეს, ამიტომაც იყო, აშკარად კარგად რომ თამაშობდნენ, მაგრამ მეტოქემ, როგორც კი ხელთ იგდო მომენტი, უზუსტესად დაარტყა და ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს (მარცხები ამხანაგურ მატჩებში) წერტილი დაუსვა. იდეალური ამქვეყნად არაფერია და, ცხადია, არც ჩეხები იყვნენ გამონაკლისნი. განსაკუთრებით მათი მეკარე, ნიუკასლელი პაველ სრნიჩეკი მოისუსტებდა. ორივე გოლის შემთხვევაში ცოტა ყურადღებით რომ ეთამაშა, ევროპელები უეჭველად მოიგებდნენ, მაგრამ თემურ ქეცბაიას თანაკლუბელმა გუნდელები დაალალატა.

პირველ ტაიმში, რომელიც ევროპის ვიცე-ჩემპიონთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, ჩეხებს სულ მცირე ოთხი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან ორი საფრანგეთის „ლანსის" თავდამსხმელმა ვლადიმირ შმიცერმა გოლად აქცია. რაც შეეხება გამოუყენებელ მომენტებს, პირველად პაველ კუკამ ვერ იხეირა — საჯარიმოს გარედან ძელს მოარტყა ბურთი, მერე კი რადეკ ბეიბლმა არენდსესთან პირისპირ გასვლა ვერ შეიფერა.

საბრალონი იყვნენ სამხრეთ აფრიკელები შმიცერის მეორე გოლის შემდეგ. სრნიჩეკმა იმდენი მოახერხა, ავგუსტინის ჩვეულებრივად დარტყმული გაუშვა, რამაც, ცხადია, შავი კონტინენტის შვილები ძლიერ ახარა, მაგრამ ერთმანეთის ხვევნა-კოცნას არ მორჩენილიყვნენ, კვლავ შმიცერმა რომ დაამწუხრა. მეორე ტაიმში აფრიკელებმა გაცილებით ძლიერად ითამაშეს, თუმცა, ჩეხებს ვერაფერი მოუხერხეს. ევროპელებს კვლავ ჰქონდათ საგოლე მომენტები, მაგრამ ძველებურად ვერ ხეირობდნენ, ეგ კი არა, კარელ პობორსკიმ ოთხი მეტრიდან ბურთი ცარიელ კარს გადააცილა.

აფრიკელთა მეორე გოლი კი ჩეხების შემცირებას მოჰყვა. გუნდის კაპიტანი, ირჟი ნემეცი მკალელესთან უხეშობის გამო 82-ე წუთზე გააგდეს. დაზარალებულმა კი ორიოდ წუთის შემდეგ დაახლოებით 25 მეტრიდან ისეთი ძალით დაარტყა, ლამის ბადე გახია.

**ლაშა გოდუაძე**

# სამართალს პური აჭამეს



ბრიუს გრობელაარი

ცხოვრება წინაღობებითაა აღსავსე. კაცს მუდამ მათი გადალახვა უხდება, თუმცა ხანდახან ისეც ხდება, რომ გზა ია-ვარდითაა მოფენილი. ეს იშვიათობაა და ერთეულთა ხვედრია, ამ წერილის გმირები კი ერთეულებს ნამდვილად არ განეკუთვნებიან.

ბრიუს გრობელაარი და ჰანს სეგერსი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე სკანდალურ პიროვნებათა შორის არიან. პირველი ზიმბაბველია, მეორე — ჰოლანდიელი.

განა წელს არ იყო, ამათი და კიდევ ორი ეჭვმიტანილის ორი ხანგძლივი სასამართლო რომ გაიმართა? გრობელაარს, სეგერსს, ჯონ ფაშანუს და მავან მალაიზიელ ბუკმეიკერს ბრალად ედებოდათ 90-იანი წლების დასაწყისში პრემიერლიგის ანგარიშების გაყალბება და გოლების გაშვების სანაცვლოდ ქრთამის აღება. ბრალდებულებს ვერც ერთმა მოსამართლემ ვერ დაუმტკიცა დანაშაული და ისინი სასტიკ ჯარიმებს და ციხეს გადაურჩნენ. მეკლედ, ინგლისურ ფეხბურთში ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე სკანდალურ ამბად შერაცხულ „მექრთამეთა საქმე" დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო დაიხურა, ეჭვმიტანილები კი უდანაშაულოდ გამოაცხადეს.

ეს ზაფხულში მოხდა. გუშინ კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ვერ მოისვენა და ბრიუს გრობელაარი და ჰანს სეგერსი ჯერ ექვსთვიანი დისკვალიფიკაციითა და 16 ათას 500 დოლარით დასაჯა, შემდეგ კი ფეხბურთის თამაში ორი წლით აუკრძალა. ახლა არ იკითხავთ, რამ გამოიწვია ინგლისის ფეხბურთის მამათა ასეთი რისხვა? — ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ თავისი წესების დარღვევაში ამხილა ორივე მეკარე, ხოლო სხდომაზე, სადაც საგანგებოდ ამ საკითხს განიხილავდნენ, ათვალწუნებულებს ისე უთავხედიათ, რომ ასოციაციის თავკაცებიც აღუშფოთებიათ.

თურმე სეგერსს საბრალდებო დასკვნა არ მოუსმენია, გრობელაარი კი ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომისიის თავკაცებს თავს აჩვენებდა, ვითომდა ყურს გიგდებთო.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა სტივ დაბლიმ განაცხადა, ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების გამოტანისას ისიც გავითვალისწინეთ, რომ მეკარეებს ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ ძალუძთ, ამიტომ მათი ფეხბურთიდან სამუდამო მოკვეთა მიულებლად მივიჩნიეთო.

რაც შეეხება დაზარალებულებს, ზიმბაბველი საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო და ამ სიბერის ჟამს სულის სიწმინდეზე და თავის უდანაშაულობაზე საუბრობდა. გრობელაარმა ლამის ყველა და ყველაფერი დაიფიცა, უდანაშაულო ვარო, მაგრამ რომ შეატყო, მისი სიმართლე არავის სჭირდებოდა, განაცხადა, ბოლო წლებში ინგლისელმა ჟურნალისტებმა გამიტეხეს სახელი, ახლა კი შევეცდები, ყველას დავუმტკიცო ჩემი პატიოსნებაო. როგორ აპირებს გრობელაარი სიმართლის აღდგენას, არავინ იცის, თუმცა, მას არც ის უთქვამს, რკინის ქალამნებს ჩავიცმევო. „იცით, ძალიან მწყინს, ხალხი ჟურნალისტების ჭორებს რომ უგდებს ყურს. პრესა ჭრელია, რაც ენაზე მოადგებათ, თითქმის ყველაფერს წერენ, ასე არ შეიძლება. ხალხიც გულუბრყვილოა. ჭორებს კუდებს გამოაბამენ და მერე იწყება ერთი ვაი-უშველებელი. ჩემს შესახებ ჭორები, თითქოს ქრთამი ამეღოს, ან რაიმე ამდაგვარი, მტკნარი სიცრუეა. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, გრობელაარმა საქმეში სეგერსი ჩაითრიაო, თუმცა, ამაზე აღარ ვისაუბრებ. სამართალმა პური ჭამა. ჩვენ ბრალდება ვერ დაგვიმტკიცეს, ეს კი იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ დანაშაული საერთოდაც არ ჩაგვიდენია? რაც შეეხება ჩემს შემდგომ ბედს, ეს უკვე საჯაროდ განსახილველი არაა" — განაცხადა გრობელაარმა, რომელიც ფეხბურთის ასოციაციას შემოსწყრა, თქვენმა ჯარიმებმა ლამისაა ოჯახის დანაზოგი გააჩანაგოსო.

რაც შეეხება 36 წლის ჰანს სეგერსს, ჰოლანდიელმა იხუმრა, ცოტას დავისვენებ, მერე კი წინადადებებს გადავხედავ და საუკეთესო ვარიანტს ამოვარჩევო.

**ალენ გოლდუინი**
**„როიტერი"**

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა — „ვალენსიამ" შაბათს „გალათასარაისგან" 7,3 მილიონ დოლარად შეიძინა რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი ადრიან ილიე. ახალ კლუბს ფეხბურთელი ამ კვირაშივე შეუერთდება და გარიგებიდან 2,2 მილიონ დოლარსაც მიიღებს. თურქული პრესის ცნობით კი, „ვალენსია" ჯიკა პოპესკუთიც დაინტერესებულა.

**ბრაზილიური „სან პაულუს" განცხადების თანახმად, გუნდის 21 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი დენილსონი „ბეტისს" მომავალი წლის ივლისამდე არ შეუერთდება. კლუბს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, იქნება თუ არა ეს ტრანსატლანტიკური ტრანსფერი მსოფლიოს სარეკორდო — 34,8 მილიონ დოლარი, როგორც ამას ადრე იუწყებოდნენ.**

აფრიკის ჩემპიონთა ლიგის თასი შაბათს „რაჯა კასაბლანკამ" მოიპოვა. განმეორებით ფინალურ შეხვედრაში, რომელიც ასევე 1:0 დამთავრდა, „რაჯამ" პენალტებით 5:4 სძლია განურ „გოლდფილს" და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლა.

**ბულგარეთის თასის განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დასრულდა: ცსკა (სოფია) — სლავია (სოფია) 4:2 (პირველი მატჩი 1:2), ლევსკი (კიუსტენდილი) — ლევსკი (სოფია) 2:1 (0:2), სპარტაკი (პლევენი) — ლიტექსი (ლოვეჩი) 0:3 (1:5), სპარტაკი (ვარნა) — ლოკომოტივი (სოფია) 2:2 (1:4).**

შვეიცარიულ „ქსამაქსს" იუგოსლავიის A-დივიზიონის კლუბ „ჰაიდუკის" მეგოლე დეიან ოსმანოვიჩი შეუგულებია. ნევშატელელებს ფეხბურთელი საქმეში უნახავთ და უთქვამთ, იგი მის მილანელ სეხნია სავიჩევიჩს გვაგონებსო. „ჰაიდუკის" ამ სეზონში გატანილი 18 გოლიდან 6 სწორედ ოსმანოვიჩის ანგარიშზეა.

**გერმანული „ბოხუმის" ორი მცველი, თომას რაისი და აქსელ სუნდერმანი ხუთშაბათს „აიაქსთან" განმეორებითი შეხვედრისას დაშავდნენ. რაისი მარცხენა მუხლის ოპერაციას საჭიროებს და გუნდს, სავარაუდოდ, 4 კვირით გამოაკლდება, ხოლო სუნდერმანმა ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და ორი კვირით იძულებით დაისვენებს.**

უკრაინის გაერთიანებულ სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას წინა კვირაში კიევის „დინამოს" ფეხბურთელები და მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკიც შეუერთდნენ. როგორც ადგილობრივი გაზეთები შენიშნავენ, პოლიტიკურმა აქტიურობამ ვერ შეუწყო ხელი კიეველთა საფეხბურთო ფორმის შენარჩუნებას. პარტიაში შესვლის შემდეგ ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში „დინამომ" 2:0 წააგო „ნიუკასლთან".

**გერმანიის თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში, რომელშიც აახენის „ალემანია" მანჰაიმის „ვალდჰოფს" ხვდებოდა, მსაჯმა დამატებით დროის მე-9 წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, აახენელებს გოლი არ ჩაუთვალა — მიზეზად ტრიბუნებიდან მოედანზე გადმოგდებული ბურთი დაასახელა. „ალემანიამ" თავი დაჩაგრულად მიიჩნია და საფეხბურთო კავშირში იჩივლა, მაგრამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კლუბმა სხვაგვარად განსაჯა და წარდგენილი პროტესტის უკან გამოტანა არჩია.**

ალბანეთი. მე-15 ტური: ალბპეტროლი — ბესა 0:0, ტირანა — ლაჩი 1:0, ფლამურტარი — ტეუტა 2:0, ოლიმპიკი — პარტიზანი 0:1, ბილიში — სოპოტი 5:0, ტომორი — ვლაჟნია 0:1, აპოლონია — შკიპონია 5:2, შკუმბინი — ლუშნია 3:1, სკენდერბო — ელბასანი 3:0. 32 ქულით ლიდერობს „ტირანა", 31-31 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „პარტიზანი" და „ვლაჟნია".

**რუმინეთის ჩემპიონატის მე-20 ტური: არჯეში — რაპიდი 0:3, პეტროლული — ფორესტა 1:1, ხინდია — უნივერსიტატია (კარიოვა) 2:1, უნივერსიტატია (კლუჟი) — ოცელული 2:0, სტიაუა — ჟიული 5:1, გლორია — ნაციონალი 3:1, სპორტული — რესიტა 1:4, ჩაჰლაული — დინამო 2:1, ფარული — ბაკაუ 0:3. 45 ქულით პირველ ადგილზეა „რაპიდი", 43 ქულა აქვს „ოცელულს", 18 მატჩიდან 42 ქულით მესამე საფეხური უჭირავს „სტიაუას".**

ფრანგმა მიშელ პლატინიმ ამ დღეებში საუდის არაბეთში იმოგზაურა და ფიფას კონფედერაციათა თასზეც გამოთქვა თავისი აზრი. ამჟამად ამ თემაზე პლატინის ნააზრევით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, იმას დავძენთ, რომ მან უეფა ერთობ გააკრიტიკა, რადგან 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრისთვის, მისი სამშობლო არ განითესა. პლატინიმ განაცხადა, გაოცებული ვარ, ინგლისი და შოტლანდია განთესილა, ჩვენ კი არაო. მანვე განაცხადა უეფა რატომ შემოგვწყრა, გაუგებარიაო.

## ძალოსნობა

# შტანგა სპორტულმა დაუნერგავთ

ტაილანდის ქალაქ ჩიანგმაიში გუშინ დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში. ასპარეზობის უკანასკნელი დღეები ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენელთა გააქტიურებით აღინიშნა. 91 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე მოლდაველი ვადიმ ვაკარჩუკი გავიდა, მესამეზე — რუსი მაქსიმ აგაპიტოვი. 99 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა უკრაინელ ალექსეი ობუხოვს. ყველაზე პრესტიჟულ — 108 კილოგრამზე მეტ წონაში კი ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა, რუსმა ანდრეი ჩმერკინმა იმარჯვა, თანაც ატაცშიც და საერთო ჩათვლაშიც ახალი მსოფლიო რეკორდებით — შესაბამისად 262, 5 და 462, 5 კილოგრამი. საერთოდ, ჩემპიონატი ჩინელმა ძალოსნებმა წალეკეს — ქალებს შორის მათ ანგარიშზე 16 ოქროს მედალი დაუგროვდათ (სულ 23), კაცებში კი — 10 (სულ 21). ჩიანგმაიში დამყარებული 19 მსოფლიო რეკორდიდან 15-ის ავტორიც სწორედ ისინი არიან. ჩინელთა კარგი გამოსვლა ჩემპიონატზე იოლად ასახსნელია. თურმე ძალოსნობას ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაში მილიონზე მეტი ადამიანი მისდევს, ის კი არა, სკოლებში სავალდებულო დისციპლინადაც კი შემოუღიათ, შედეგებს კი ძვირფასი ლითონებით, მსოფლიო ჩემპიონატებზე იმკიან.

**ირაკლი გუგუშვილი**

**91 კგ: 1. ვადიმ ვაკარჩუკი (მოლდავეთი) 387,5 კგ; 2. სუნაი ბულუტი (თურქეთი) 382,5 კგ; 3. მაქსიმ აგაპიტოვი (რუსეთი) 380 კგ**
**99 კგ: 1. მარტინ ტესოვიჩი (სლოვაკეთი) 400 კგ; 2. ხონგ კუნ-ჩუა (სამხრეთ კორეა) 387,5 კგ; 3. ალექსეი ობუხოვი (უკრაინა) 385 კგ**
**108 კგ: 1. სუი ვენპუა (ჩინეთი) 415 კგ; 2. მარიუშ იედრა (პოლონეთი) 392, 5 კგ; 3. უეს ბარნეტი (აშშ) 390 კგ**
**108 კგ: 1. ანდრეი ჩმერკინი (რუსეთი) 462,5 კგ; 2. რონი ველერი (გერმანია) 450 კგ; 3. ვ. სკერბატისი (ლატვია) 412, 5 კგ**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მზეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ზელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29